№ 54. 13 მარტი, პარასკევი. 1866—1881 13 მარტი, პარასკევი. № 53.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.
ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.
„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასო-მოთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ... ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ ხანგრძლივად მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## უმაღლესი ბრძანება სენატისადმი.

19 თებერვლის 1861 წლის მანიფესტით ნეტარ-ხსენებულმა მამობელმა ჩვენმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე II განათავისუფლა გლეხები ყმობისაგან და მიანიჭა მათ უფლება თავის სოფლის მცხოვრებთა. ამ მანიფესტისა და შემდეგ გამოცემულის დამატებით კანონმდებლობის ძალით, გლეხებიც საზოგადო კანონებს ექვემდებარებიან და ამის გამო ვბრძანებთ, რათა როგორც სხვა წოდების ჩვენი ერთგულ ქვეშევრდომნი, გლეხებიც ისე დაფიცებულ იქმნენ ჩვენსა და ჩვენის მემკვიდრის მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ ალექსანდრეს მის ერთგულებაზედ.

უმართებლობითი სენატი მიახდენს ჯეროვანს განკარგულებას ამ ჩვენის ბრძანების შესასრულებლად.

დედანზედ საკუთარის მის იმპერატორების უდიდებულესობის ხელით მოწერილია

ალექსანდრე.

პეტერბურღი.
1 მარტს 1881 წელსა.

## ტელეგრამმები

სახლთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

**პეტერბურღი**, 11 მარტს. რისაკოვისა და იმის სამი ამხანაგის გასამართლება დანიშნულია 15 მარტისათვის. ბრალდებულთ გუშინ ჩააბარეს გასამტყუნებელი აქტი. ამ საქმეზედ სამოცი მოწმეა დაბარებული, ამათში თერთმეტი ექსპერტი.

პეტერბურღის უნივერსიტეტის სასამართლომ სამის წლით უნივერსიტეტიდამ გამორიცხვა გარდაუწყვიტა იმ სტუდენტს, რომელმანც უნივერსიტეტში პროკლამაციები აკრა; ამ ხნის განმავალობაში ხსენებულ სტუდენტს არც სხვა უნივერსიტეტებში მიიღებენ; მეორე სტუდენტს სასამართლომ შვიდი დღით დატუსაღება გარდაუწყვიტა. ორივე სტუდენტი თავის ამხანაგებისავე თხოვნით იყვნენ სამართალში მიცემულნი.

ამბობენ, რომ გუშინ ერთი მძიმე დამნაშავე დაატუსაღესო.

---

ტფილისი, 12 მარტს.

დღევანდელ ნომერში იბეჭდება ღირს-შესანიშნავი უმაღლესი ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა სენატისადმი. ამ ბრძანების ძალით, დაფიცებულ უნდა იქმნენ გლეხებიც, როგორადაც სხვა ყოველი თავისუფალი ქვეშევრდომი, რადგანაცაო, ამბობს უმაღლესი ბრძანება, 19 თებერვალს 1861 წ. მათ მიენიჭათ თავისუფალ მცხოვრებთა უფლებანიო.

მართალია-და, მას აქეთ რაც ბატონ-ყმობა გადავარდა, გლეხებს არავითარი ფიცი არ მიუღიათ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ერთგულობისა. მათი ერთგულობა, რასაკვირველია, უფიცოთაც უეჭველია. ფიცი ამ შემთხვევაში არის ნიშანი პირადის თავისუფლებისა, პირადად პასუხის-გებისა სახელმწიფოს და უმაღლესის მთავრობის წინაშე.

უწინ გლეხი ყურ-მოჭრილი ყმა იყო თავისის მებატონისა; პასუხის გამცემიც გლეხის ავ-კარგიანობაში იყო მხოლოდ მებატონე. მაგრამ რაკი ბატონ-ყმობა მოისპო, გლეხნი, თავადნი თუ აზნაურნი, ყველანი თანასწორნი არიან სახელმწიფოსა და კანონის წინაშე; კერძოდ არიან ერთრიგად თავისუფალნი და პასუხის-გამცემნი.

ახალმა ხელმწიფე იმპერატორმა ყველაზედ უწინარეს ეს თანასწორობა და თავისუფლება აღიარა თავისის უმაღლესის ბრძანებით; ყველაზედ უწინარეს მოაგონდა ჩაგრული და ხმა-გაკმენდილი გლეხი.

ეს კეთილი ნიშანია.

არავითარი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ გლეხს თვით საქმითაც მიეცემა ღონის-ძიება მოიხმაროს ეს პირადი თავისუფლება და პასუხის-გება თვის-და სასიკეთოდ, საკეთილდღეოდ.

## ხელმწიფის მიცვალების ამბავი.

**პეტერბურღი**, 2 მარტს. („დროების“ კორრესპონდენცია). უბრალო პლანს დაგიხატავთ იმ ადგილისას, სადაც ხელმწიფე იმპერატორი მოჰკლეს:



მიხაილოვის ბაღის მოაჯირთან მოხდა აფეთქება. იმპერატორი მობრძანდებოდა მანეჟიდამ... ისეთი ძალა ჰქონია ამ აფეთქებას, რომ მეორე მხრივ არხის ნაპირა სახლებში რამდენიმე ასი ფანჯარა ჩაამტვრია. თითქმის მთელი ქუჩა აზეთქა... ნამდვილი მსხვერპლები: თვითონ იმპერატორი, ოთხი მხლებელი ყაზახი, ერთი პოლიციელი, პატარა ყმაწვილი და კიდევ ვიღაც (ამბობენ, მეორე ყუმბარა ამან ისროლაო) მოკლულები. პოლიცმეისტერი დვორჟიცკი სამი ყაზახი-რუსი და ერთი პრისტავი დაჭრილები არიან.

იმპერატორი თითქმის უსულოდ შეაბრძანეს სასახლეში. დაესიენ გამოჩენილი ექიმები, მაგრამ ვერა უშველეს-რა. ერთი საათის შემდეგ განუტევა სული თვისი...

წუხელისვე თვით სასახლეში იყო ფიცი იმპერატორის სახლობისა. დღეს 1 საათზე ნაშუადღევს დანიშნულია სასახლეშივე შეფიცება სხვა პირებისა. დილას 8 საათზე გამოვიდა ახალი იმპერატორის ალექსანდრე III მანიფესტი, რომლის შინაარს ტელეგრამმით შეიტყობდით.

პირველი მკვლელის გვარი რუსაკოვია ან რისაკოვი. სტუდენტი გორნი ინსტიტუტისა,—21 წლის ყმაწვილი კაცი. მეორისას ამბობენ მოკვდაო და ამის ჯერ ვერა გაიგეს-რა. ნამდვილი, მტკიცე ამბების გაგება ჯერ ძალიან ძნელია. ზოგი ისე ამბობს—ზოგი ისე. ოფიციალურად ეს ცნობებია რომელსაც გწერთ.

---

«დროების» ფელტონი, 13 მარტს.

## მართალია.*)

(თარგმანი)

(ვაიზიდი ირლანდიის ახლანდელ ამბებიდგან.)

მეორე ღამეს კარები დამიბრახუნა ბროფიმ. სასამართლოს წევრი ჩემთან ყოფილა, ჩამოართვა ჩვენება და უთხრა, რომ, თუ ახალი არა მოხდა-რა, თქვენი დაბარება საჭირო აღარ იქნებაო; და ყოველივე ამბავი, რომელსაც თქვენ გვაცნობებთ იდუმალ საზოგადოებაზედაო, რიგიანათ იქნება დაჯილდოებულიო. ხუთი თუმანი იქვე ჩააბარეს და სრულიად კმაყოფილი წავიდა.

ეს ჩვენებები ძრიელ ძვირფასნი იყვნენ საქმისთვის. ზამოძიებამაც დაამტკიცა ზოგიერთი იმათგანი და რომ გამოგვეთქმევინებინა როგორმე პეტ დონოჩიუსისათვის რაც იცოდა, შეიძლებოდა დაგვეწყო საქმე ბრედის წინააღმდეგ.

ბოლოს, ერთ პოლიციელმა გაბედვინა იმას ეთქვა თავის ნანახი ამ საქმის შესახებ. იმან სთქვა, რომ დილით, კაცის-კვლის დღეს, ნახა მარტინ ბრედი, რომელიც მირბოდა ბალლიმორელიდგან. ხელში ეჭირა თოფი, რომელიც საჩქაროთ ჩააგდო ორმოში და გასწია სასაფლაოსკენო.

ნაჩვენებ ორმოში პოლიციამ იპოვნა თოფი, რომელშიაც იყო ცარიელი პატრონი სწორეთ იმის მზგავსი, რომელიც სიკვდილის დღეს იპოვნეს მოკლულის მახლობლად.

მისცეს ბძანება ბრედის დასაჭერათ და საღამოზე წარმოადგინეს კიდეც. იმის სახლში ეპოვნათ შვიდი პატრონი ამ გვარივე და ლოცვანი, რომლიდგან ფურცელი იყო ამოხეული და ამოხეულს მიუდგა ის ნახევი, რომელიც მოკლულთან იპოვნეს. მანამ ბრედი კარებთან იდგა, ის საჩქაროთ იკრავდა და იხსნიდა პალტოს ღილებს და ამ დროს პოლიციელმა შენიშნა, რომ პალტოზე ერთი ღილი გატეხილი ჰქონდა. იმან ჯიბიდგან ამოიღო ნაპოვნი ნატეხი და მისხალივით მოუვიდა.

ყველანი მოუთმენლათ მოელოდნენ სასამართლოში ამ საქმის განხილვას. ყოველ მხრიდგან გროვდებოდა ფულები საუკეთესო ადვოკატის დასაჭერათ ბრედისთვის. ბროფის ჩვენება ყველამ დიდის ყურადღებით მოისმინა პეტ დონოჩიუ მაგრათ იდგა თავის ჩვენებაზედ. იმან ამაყათ უარ-ჰყო სახელმწიფო ჯილდოზედ გატყდა, რომ იმას უყვარს ფილ-ბიტტი და იმედი აქვს როდისმე შეირთოს ის ქმრად და გადასახლდეს

როდესაც პეტი გამოვიდა სასამართლოს ზალიდგან, იმას წინ დაუხვდა ამერიკაში ან ავსტრიაში, მაგრამ არ უნდა ამ ბედნიერებას ეღირსოს „სახელმწიფო ფულებით.“

ფილ-ბიტტი, გაანჩხლებულის სახით და სიძულვილით. დიდი ხანი ელოდნენ ესენი იმ დროს, როდესაც შეაგროვებდნენ პატარა თანხას, რომელსაც ირლანდიელი საკმაოთ სთვლის, რომ დაქორწილდეს. როდესაც ის დაინახა პეტიმ, სიხარულით ხელი გაუშვირა.

— როგორ, შენ გგონია, რომ მე ისე დავიმცირებ თავს, რომ მაბეზღარს ხელს ჩამოვართმევ? შეტევით უთხრა იმან — როგორ შეიძელ ჩემი სახელის გახსენება, კაცის მკვლელო? წაიღე შენი ფულები, თუ გინდა, მაგრამ თვალით კი აღარ დამენახო პატიოსან კაცს?...

ადვოკატის სიტყვა იყო გრძელი და კარგათ მომზადებული. ხუთმა დაიფიცეს, რომ იმ დილით ბრედი ჩვენთან წამოვიდა დასაფლავებაზედაო. პატრმა ჯონისმა უჩვენა სუდს, რომ ბრედი იმ დროს მე მელაპარაკებოდა სასაფლაოზედაო. ბალლეროჩნი ფიცულობდა, რომ ერთი თვის წინათ კაცის-კვლისა იმან და

*) „დროება“, № 52.

დილის 10 საათიდამ დაიწყო ხალხმა სასახლესთან წინ მოედანზე კრება. გაუწყვეტელი კარეტები და მარხილები სამხედრო და საერო სამსახურის პირებისა თავისი მანდილოსნებითურთ. სამ საათზე იმპერატორი გამობრძანდა სასახლიდგან მოიქრულ კარეტაში და წაბძანდა თავის სასახლეში. ხალხი ალტაცებულის „ურას“ ძახილით მისდევს უკან. მოსკოვიდგან ტელეგრამმა: მოსკოვი უთვლის ანაფემას მკვლელებს. აქ მშვიდობიანობაა.

კოტე მესხი.

პეტერბურღი 2 მარტს.

---

— პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ როდესაც პირველი ასაფეთქ ყუმბარის მსროლელი რისაკოვი დაიჭირეს და შეუკრეს ხელები, პოლკოვნიკს დვორჟიცკის სთხოვაო, რომ ერთი წამით გამიხსენით მარცხენა ხელიო. ეს თხოვნა არ აუსრულეს, და შემდეგ, როდესაც რისაკოვი გაჩხრიკეს, იმას მარჯვენა მხრით უნახეს პატარა აბები, რომელიც ძრიელი საწამლავი აღმოჩნდა.

შეჭველია, რომ ამ საწამლავით იმას თავის-თავის მოწამვლა უნდოდა.

— ზოგიერთს გაზეთებში ამ რისაკოვზე უფრო დაწვრილებით ცნობებია მოყვანილი: ის არის თურმე 19 წლისა, ქალაქის ტიხვინის მოქალაქის (მესჩანინის) შვილი; სწავლა ვიტეგორსკის უეზდის სასწავლებელში დაუწყია და შემდეგ ჩერეპოვეცკის რეალური სასწავლებელი შეუსრულებია. შარშანდელის წლიდამ ის ირიცხებოდა პეტერბურღის სამთო ინსტიტუტში, მაგრამ გასულ დეკემბრიდამ ინსტიტუტის ლექციებზე სრულებით არ დაიარებოდაო. ძალიან კარგა სწავლულობდა თურმე და მთავრობასაც კარგის, მშვიდობიანის ყოფა-ქცევის ყმაწვილ-კაცად მიაჩნდა.

როცა რისაკოვი დაიჭირეს ყუმბარის სროლის შემდეგ, იმას ეცვა ასასის (დვორნიკის) ტანისამოსი და მხარზე ეკრა ნიშანი (ბლიახა) პეტერბურღის ასასებისა.

— ჩვენს გაზეთში პეტერბურღის გაზეთებიდამ იყო მოყვანილი ამბავი, რომ მიცვალებულ იმპერატორის სიკვდილის წინათ რამდენიმე დღით, რაღაც აბები მოუვიდა და ექიმის ბოტკინის გამოკვლევით, ეს აბები ასაფეთქი წამალი აღმოჩნდაო. ამ აბების შესახებ გაზ. „პორიადოკში“ იწერებიან ახლა:

„მართალია, რომ რამდენიმე დღის წინათ მიცვალებულის იმპერატორის სახელობაზედ ფოშტაში მოვიდა რაღაც პატარა ყუთი. ხელმწიფემ თავის კამერდინერს უბრძანა, რომ ეს ყუთი ექიმს ბოტკინთან წაეღო გასასინჯავად. ბოტკინმა გასინჯა ყუთი, წაიკითხა ზედ მიკრული აფთიაქის ბილეთი და ყურადღება არ მიაქცია. მეორე დღეს კამერდინერს მოაგონდა, ხელმწიფეს არ გაეხსნებინა ეს ყუთი, არ მოიკითხოსო, და წავიდა ბოტკინთან.

იქ კამერდინერმა რომ მოჰკიდა ყუთს ხელი და ძაფი უნდა შემოეხსნა, ამ დროს უეცრად იფეთქა. ეს ამბავი იმ წამსვე ხელმწიფე იმპერატორს მოახსენეს, რომელმანც ქიმიკოსს პროფესორს ტრაპს მიანდეს ამ საფეთქი წამლის გამოჩხრეკა. აღმოჩნდა, რომ ეს მართლა ძრიელი ასაფეთქი წამალი ყოფილა და რომ არ დანოტიავებულიყო, ძაფის გახსნის დროს იფეთქებდა და უკანასკნელს სამს კაცს მაინც მოჰკლავდაო.“

ხელმწიფე იმპერატორმა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს მიანდო ჩვენების ჩამორთმევა ყველა იმ პირებისა, რომელნიც 1 მარტს ასაფეთქ ყუმბარის სროლის დროს დაესწრნენ მიცვალებულის ხელმწიფის დაჭრის დროს ეკატერინის თხრილთან.

— გაზ. „სტრანაში“ იწერებიან:

„იმ უბედურ შემთხვევის შემდეგ, რომელმანც მიცვალებული ხელმწიფე იმსხვერპლა, მთელი დღე და ღამე პეტერბურღის ყაზარმებში ჯარები მზათ იყვნენ თავის აფიცრებითა. ყველა სამიკიტნოები დაკეტილი იყო, რადგან უწესოების მოხდენის ეშინოდათ. სამ საათზე შტაბის მახლობლად მოგროვილი ხალხი მივარდა ვიღაც ორ კაცს ყვირილით: — „დაიჭით! სცემეთ მაგათ!“ ჩვენ ვერ შევიტყეთ, ვინ იყვნენ ეს კაცები და რისთვის დაესია ხალხი. ცოტა ხანს შემდეგ ჟანდარმები მოვიდნენ და გაჰფანტეს მოგროვილი ხალხი.

„ისმის რომ ბევრი ვიღაცაები არიან დაჭერილნიო.“

— ერთ რუსულ გაზეთში მოყვანილია შემდეგი საკვირველი შემთხვევა:

„ნამდვილ წყაროდამ გარდმოგვცეს შემდეგი ფაქტიო: ამ ორი კვირის წინეთ მიცვალებული ხელმწიფე მუდამ დღე ხედავდა თავის ფანჯარაზედ დახოცილ მტრედებს; აღმოჩნდა, რომ დიდი ვარევანი ფრინველი, ზოგი ამბობდა ძერაო, ზოგი არწივიო, დაბუდებულიყო სასახლის სახურავზედ. ყოველივე საშუალება იმის მოკვლისა დარჩა უნაყოფოდ რამდენიმე დღის განმავალობაში.

„ამ შემთხვევამ დააფრთხო ხელმწიფე იმპერატორი; ბრძანა, რომ ეს მოვლენა ცუდი ნიშანიაო. ბოლოს დაუგეს ხაფანგი, ფრინველი გაება შიგ ფეხებით; მაგრამ გაფრენის ღონე მაინც იშოვა, თან ხაფანგს მიათრევდა და ჩამოვარდა სასახლის წინ მოედანზედ, საიდამაც აიღეს.

„აღმოჩნდა, რომ ეს იყო ძერა, მაგრამ ისეთი შესანიშნავი დიდი იყო, რომ მისი გაკეთებული ტყავი (ჩუჩელა) შეინახეს.

„ამას გარდა პირველ მარტს, საღამოს ათ საათზედ ვნახეთ საშინელი ახირებული სანახავი: ცაზედ გამოჩნდა განათებული და გვარიანად მოზდილი კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაც თითქოს ორი კუდი [illegible] — ერთი ზევითკენ, მეორე [illegible]რისკენ. ეს სანახავი ჩნდა ცაზედ ოცის მინუტის განმავალობაში“.

## ახალი ამბები.

ქუთაისის ქალაქის რჩევამ 7 მაისს გაუგზავნა დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის-ძეს კავკასიის ნამესტნიკს მ. დ. ხელმწიფე იმპერატორისადმი გარდასაცემი ტელეგრამმა, რომელშიაც გამოცხადებულია ქუთაისის ქალაქის საზოგადოების თანაგრძნობა და მწუხარება იმ უბედურ შემთხვევის გამო, რომელიც 1 მარტს მოხდა პეტერბურღში.

ქუთაისის ქალაქის თავს, დიდის მთავრის ნამესტნიკის საშუალობით, მოუვიდა ხელმწიფე იმპერატორისაგან მადლობა ამ გრძნობათა გამოცხადებისათვის.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ შემდეგ შემთხვევას, რომლითაც იხატება — თუ რა გვარი წესები ჰსუფევს ჩვენს ხელოსნებში:

მოგეხსენებათ, რომ რომელიმე ოსტატის შაგირდი ჩვენს ქალაქში ისე თავის დღეში ვერ მიიღებს ოსტატობის ატესტატს, თუ სამი ან ოთხი თუმანი მაინც „ხალათის ფული“ არ მისცა თავის ოსტატს და უსტაბაშს თავი არ „დაალოცვინა“.

ერთს დურგლის შაგირდს, რომელიც 12 წელიწადი დურგლობის ხელობაში იყო, აჰგვარ ჩვეულების მიმდევარ თავის ოსტატისათვის მიეცა შარშან 15 მან. „დასალოცავად“. მაგრამ მას აქეთ წელიწადი თავდება და შეგირდს დღემდინაც არ აკურთხებენ თურმე, კიდევ ხუთი მანეთი მერგებაო.

ზეიკვირს-ეს სადაური წესი და კანონია! რამდენათაც ვიცით ოსტატის

---

ბრედიმ გაიარეს იმ ალაგზე, სადაც ბრემი იყო მოკლული და მისტრის მურფიმ დაუმატა ამას, მაშინ მე დავინახეო, რომ ბრედი ლობეს დაეყუდაო და ამით უნდა აიხსნას ის შემთხვევაო, რომ იმ ალაგზე ღილი და ლოცვანის ფურცელი იპოვეთო.

სუდიამ უთხრა ნაფიც მსაჯულებს ენერგიული სიტყვა. — სთქვა, რომ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ ზოგიერთი ჩვენებები ბრალდებულის მოწმებისგანო, მაგრამ თოფი, რომელიც, პეტის ჩვენებით ორმოში ამოჩნდა, დიდი საბუთია ბრალდებულის გასამტყუნებლათაო.

ნაფიცნი მოსამართლეები გავიდნენ. გავიდა ერთი საათი; ბრალდებული ისევ თავის სკამზე იჯდა; მოსამართლე ალიგიდგან არ დაძრულა; ზალაში მრავალი ხმის გრიალი იყო. ბოლოს გამოვიდნენ ნაფიცი მოსამართლენი და გადასცეს მოსამართლეს ქაღალდი. „სიჩუმე“! მოისმა ხმა პრისტავისა. ეს მომატებული იყო, ამიტომ რომ ზალიში ისეც საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ბრალდებული ადგა პირი ნახევარზედ ღია ჰქონდა, ტუჩები უკანკალებდნენ და ცივმა ოფლმა დაასხა იმის გაყვითლებულ შუბლზე, თითქო ის გრძნობდა სიკვდილის საშინელების მოახლოების.

მაგრამ ტყუილათ სწუხდა.

— ამას რას ამბობთ, ბატონებო? მოისმა მოსამართლის ხმა. — სუყველანი თანხმანი ხართ ამ გადაწყვეტილებაზედ?

— სუყველანი!

— და თქვენ არწმუნებთ, რომ ბრალდებული უმანკოა?

მოისმა მრავალი ხმის გრიალი.

„— სიჩუმე!“ მოისმა პრისტავის ხმა; მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, ხალხი გავიდა ქუჩაში, საიდანაც ისმოდა მაღალი ყვირილი.

ბრალდებული გაანთავისუფლეს. როდესაც ის გამოვიდა, კარებში ხალხმა დასტაცა ხელი და დიდის ამბით წაიყვანეს ქალაქშია. მერე მოგვარეს ცხენი, რომელზედაც ის შეჯდა და წინ გაუძღვა პროცესიას. ამათ გაიარეს ბრემის კარებზედ, შესდგნენ და დაიწყეს ღრიალი და წყევა. წინ მიუძღოდათ მუზიკა და საცალა ეშოვ თ ბაირაღი, რომელზედაც ეწერა: „ჩამოგვაცალეთ მტარვალნი! გაუმარჯოს ბრედის“!

ბრედიმ სთქვა სიტყვა. გადაწყვეტილობა გათავდა, მაშ სადამე ამ საქმეზე ამას ველარავინ დასჯიდა და ამისათვის თავის სიტყვაში პირ-და-პირ ამბობდა, რომ „გადავარჩინე ქვეყანა ერთის მტარვალისაგანო! და გაათავა ამ სიტყვებით: „მე პატიოსნურათ ავასრულე ჩემი მოვალეობა, და მზათა ვარ კიდევაც ავასრულოვო“.

ბროფი ველარ გამოჩნდა თავის ქვეყანაში, ის სახელწიფოსგან ბლომათ დაჯილდოებული სხვა ქვეყანაში გადასახლდა. პეტი მამის სახლში დაბრუნდა, მაგრამ იმას ხმას აღარავინა სცემდა. როდესაც ის ქუჩაში მიდიოდა, ყმაწვილები ზედ აფურთხებდნენ და მაბეზღარს ეძახდნენ; ლობეებიდგან ქვებს ესროდნენ და ერთხელ, როდესაც ის ეკლესიაში შევიდა, ხალხი ადგა და გარეთ გამოვიდა, თითქო ის უბედური ჭირიანი იყო. დედმამას უნდოდათ, რომ იმას დაენებებინა თავი იმათ სახლისათვის; ის ცდილობდა მუშათ დადგომოდა ვისმე, მაგრამ ყველას კარი იმისთვის დაკეტილი იყო.

ამის გამო მართებლობამ თავის ხარჯით გაისტუმრა ის ახალ-ზელანდიაში, სადაც ის მალე გათხოვდა, მდიდარმა ფერმერმა შეირთო.

მურფებს ჩამოართვეს ზემოხსენებული ნაჭერი მიწა, მაგრამ მისტერ ჯენინგს მასუკან აღარ გაუვლია ბალიმორელში.

საიდუმლო საზოგადოება ჰყვავის, თუმცა პოლიცია იმას ფხიზლათ უყურებს. ბრემის მოკვლამ მხოლოთ გაამრავლა რიცხვი „დაუმტკიცებელი კაცის-მკვლელობისა“.

ე. გ-სა.

მოწმობის აღება კანონით, 5 მანეთზე მეტი არ ჯდება. აქ ორ-სამ თუმანს ახდევინებენ და მაშინაც ვერ მიუღიათ მოწმობა...

* * *

დღეს, საღამოს შვიდ საათზედ, არის დანიშნული მეშვიდე სხდომა ვეფხის ტყაოსნის რედაქციისა.

# რუსეთი

გაზ. „მოსკოვის ტელეგრაფში“ არის ერთი წერილი რედაქტორთან, რომლიდამაც სჩანს, თუ რა განუსაზღვრელად აწარმოებდნენ ადმინისტრატიულ ზომებს იმ პირებზედ, რომლებზედაც რაიმე ეჭვს აიღებდნენ პოლიტიკურის მხრით:

„მ. ხ. სასარგებლოთ ბევრთა ტანჯულთა, პატივი მაქვს უმდაბლესად გთხოვოთ, მისცეთ ამ წერილს ადგილი თქვენს გაზეთში და მით საყოველთაოთ ცნობილი გახადოთ ის გარემოება, რომელშიაც მე მქონდა უბედურება ჩავარდნილ-ვიყავ.

„1871 წ. ჩემმა მოსამსახურე ბიჭმა, რომელიც მე ქურდობისათვის დავითხოვე, დამაბეზღა მთავრობასთან. Iმის-და-დაუხედავათ, რომ მე ვარ სარწმუნო და ერთგული, სამსახურიდამ გამოსული კავკასიის მხედარი, ჩემი სიცოცხლის შემწირავი ხელმწიფისა და სამშობლოსათვის, რაც დამტკიცდა თ. ვორონცოვის მხრით, რომელსაც ვ ხლდი აულის დარგოს აღების დროს, როდესაც მე მივიღე სამი ჭრილობა, იმის-და-დაუხედავათ, რომ ვსთხოვე სასამართლოს, მომეცეს ნება თავის გამართლებისა, მე გამაშორეს ჩემ ცოლ-შვილს და ყარაულებ ქვეშ, მესამე განყოფილების ბრძანებით, გარდამასახლეს კოსტრომის ღუბერნიაში ქალაქ ბუიში, პოლიციის მხედველობის ქვეშ.

„1874 წ. მე მომცეს ნება ჩემ ოჯახში დაბრუნებისა; მაგრამ ისევ პოლიციის მხედველობის ქვეშ, და პირობით, რომ ჩემი მამულიდამ ფეხი არსად გარდავდგა. ამ გვარი ჩემი მდგომარეობა დღემდის ასე გრძელდება. მე, რუსის მხედარი, ჭრილობისაგან დატანჯული, ათი წელიწადი გადის ვიმყოფები ამ გვარ მდგომარეობაში: არა დამიშავებია-რა, სამართლის წინააღმდეგ არ წავსულვარ და უნდა ვიტანჯო კი, სასამართლოს გარდაწყვეტილებით კი არა, მესამე განყოფილების სურვილით, რომლის ხსენებაც აღარ არის რუსეთში.

„Mრთი ჩემი ქალი ჰყავს ექიმს დელექტორსკის, რომელიც პეტერბურღში სცხოვრობს. ამ წლის იანვარში მომივიდა ჩემი სიძისაგან წერილი, რომ თქვენი ქალი ავით არისო, ფილტვების ანთება აქვსო და თქვენს ნახვას ნატრულობსო. მე დაუყონებლივ გავგზავნე თხოვნა შინაგ. საქმ. სამინისტროში და ვთხოვე მოეცათ ნება ჩემი მამაკვდავი ქალის ნახვისა. დღეს 22 თებერვალია და ჩემ თხოვნაზედ პასუხი არსად არის. მაგრამ ან რაღათ მინდა პასუხი, გვიანღა არის: ჩემი ქალი მოკვდა 8 თებერვალს და სიკვდილის დღესაც სულ იმას იძახდა თურმე: „ხომ არ მოსულა მამაო“!—ბევრი რამ გვქონდა ჩვენ მოსალაპარაკებელი.

„ეს უკანასკნელი სასჯელი მარტო მე არ გარდამხდია: ამით დაჰსაჯეს უბედური ჩემი მამაკვდავი ქალიც: არ მისცეს საცოდავს შვილს შეძლება, რომ უკანასკნელი სურვილი გარდაეცა მამისათვის და გამოთხოვებოდა მას. რისთვის ასეთი უწყალობა!

„Iქნება ჩემ თხოვნას არც კი მიუხწევია მინისტრამდე, არც მოხსენებია მას ეს ჩემი უბედურება. მაგრამ ის სამართლიანი კაცია და მე მსურს, რომ იმან გაიგოს ეს ჩემი მწუხარება; მაშინ ის ბძანებს, რომ ამგვარი თხოვნები ყოველთვის დაუყონებლივ მოხსენდეს მას და ამითი ცოტათი მაინც მოეშვათ თავიანთი უბედურება იმ პირთ, რომელთაც თვითონაც არ იციან რისთვის ჩავარდნილან ამ მდგომარეობაში და გულ-გრილად შეჰყურებენ თავიანთ ბედს უკვე განსვენებულის მესამე განყოფილების წყალობით“.

მიიღეთ რწმუნება და სხვ.

სერგეი დიმიტრის ძე სტეფანოვი.

## მწერლობა.

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეშვიდე სხდომა რედაქციისა, 10 მარტ.)

ჩვეულებრივზე უფრო განცხოველებული და მხიარული საღამო. განსაკუთრებით ინტერესს ამ სხდომისას შეადგენდა ის, რომ იმაზე დაესწრო კ-ნა ა. ი. Iრისთვისა, ერთი იმ ქართველ ქალთაგანი, რომელთაც ასე ზედმიწევნით იცოდნენ და იციან ვეფხის ტყაოსანი. Uჩვეულო სტუმართაგანი, ამას გარდა, სხდომაში მობრძანდნენ: კ-ნა ნ. ა აბაშიძისა, გ. გვათუა და სხვა.

წაიკითხეს მე-IV კარის 32 ხანა.

კარი მე-IV

ავთანდილისაგან ტარიელის შებნად წასვლა.

გასწორდა:

ა) ტექსტში:

| | | |
|---|---|---|
| 1 ხანაში | ბალახში | გასწორდა ბადახში |
| 2 „ | ოთხ-ხმით | „ ოთხ-ასმით |
| 3 „ | და ნასა | „ დანასა |
| 5 „ | მტირალსა | „ მტირალი |
| 9 „ | არა იშობს | „ ამად იშობს |
| 10 „ | ჭორნიცა | „ ჭორადცა |
| 11 „ | გსცნა | „ გსცნე |
| 13 „ | ჭირთა | „ ჭირნი |
| — „ | ოდეს | „ ოდენ |
| 15 „ | თავსა | „ თავს |
| — „ | გიჯობს | „ ის გიჯობს |
| — „ | მზისა | „ ემისა |
| 16 „ | ცათ | „ ცას |
| — „ | იმ | „ მის |
| — „ | ცრემლი | „ ცრემლნი |

მე-17 ხანა:

იგი პირად მსგავსი მზისა...

გამოირიცხა პოემიდამ, რადგანაც ეს ხანა, ზოგიერთა ვარიანტების მოწმობით, არ არის რუსთველისა. Mითონ ლექსთა წყობაც იმ გვარია ამ ხანაში, რომ ეს ხანა, უეჭველია, შემდეგ არის ჩამატებული.

| | | |
|---|---|---|
| 19 ხან. | მობრუნება | გასწ. დაბრუნება |
| 20 „ | კვნესითა | „ კვნესით ა |
| 21 „ | თვარე | „ თვარა |

მე-22 ხანა:

ჩვენ ასრე მეოფნი...

გამოირიცხა პოემიდამ, იმავე მიზეზებით.

| | | |
|---|---|---|
| 23 ხან. | და | გასწ. რა |
| — „ | მოგვიმატენ | „ მოგვიმტკივნე |
| — „ | ჭირით | „ ჭირსა |
| 27 „ | მოკვლავ | „ მოკვალ |
| — „ | სიტყვები | „ სიტყვანი |
| 29 „ | მხეცი | „ მხეცნი |
| — „ | მფრინველი | „ მფრინველნი |
| 31 „ | ცადენით | „ ცად ენით |
| — „ | ცრემლისაც | „ ცრემლისაცა |
| — „ | დადენით | „ დენით |
| 32 „ | ჩვენებით | „ ჩვენ ნებით |
| — „ | აგრეთვე | „ აგრევე |

ამას გარდა, ორ ასოს: ჰს, რომლებსაც ჩვენ ვხმარობთ სიტყვებში: ჰსთქვა, ჰსდის, გამოჰსჩნდა, დაჰსთხოვა და სხვ. პოემაში არ ექნება ადგილი, რადგანაც ეს ორი ასო, როგორც ძველი ვარიანტებიდამ და სამღრთო წერილიდამ სჩანს, რუსთველის დროში არ იხმარებოდა ამ სიტყვების მართლ-საწერად.

ამ გვარათვე ყოველგან, სადაც კი არის პოემაში სიტყვები: თუმცა, მაგრამ—დაიწერება: თუცა მაგრა...

ამის გამო ამ ჩვენ ყოველ სხდომურ ანგარიშში ამათ გასწორებას თავს ვანებებთ.

ბ) **სხოლიოში** შესატანათ ამ სხდომაში შემდეგი ადგილი დაინიშნა:

| | | |
|---|---|---|
| 2 ხან. | ხმით | გასწ. ახმით |
| 7 „ | იგონებდა | „ იგონებდის |
| 9 „ | მად იშობს | „ არა იშობს |
| — „ | ორნიდაა | „ მას ორნიდა / ორანიდა |
| 11 „ | შერჩეს | „ მისვდეს |
| 13 „ | ეზომი | „ ეზომნი |
| — „ | სიარული | „ სიარულნი |
| 14 „ | მეტად | „ ადრე |

მთელი მე-17 ხანა, ბროსსეს გამოცემაში დაბეჭდილი.

| | | |
|---|---|---|
| 20 ხან. | დაგზო | გასწ. დაგზნო |
| 21 „ | რამე | „ ვინმე |
| — „ | კვლავ | „ ვეჭვ |

მთელი მე-22 ხანა ბროსსეს გამოცემიდამ.

| | | |
|---|---|---|
| 23 ხან. | ძმა | გასწ. ყმა |
| 24 „ | მოგვიმტკივნე | „ მოგვიმატენ |
| — „ | ჭირსა | „ ჭირით |
| 29 „ | ისი | „ მთანი. |

ზოგიერთა ვარიანტებში არ არის მოყვანილი მე-15 და მე-18 ხანა.

დღეს, პარასკევს, არის მერვე სხდომა რედაქციისა, Mბილისის სადგლემამულო ბანკში.

ი. მეუნარგია.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გავრანსკი — ყმაწვილ ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შინაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ი** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და გერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შ ა ბ ა თ ი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს დარიგებს საავათმყოფოს ბარათებით.


# განცხადებანი

—

პარიკმახერს არსენს ქუთაისში

# კოსმეტიურს

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ეს-ეს არის მოუვიდა პარიჟიდამ მრავალი გამამშვენიერებელი ნივთეულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი ახლად მოგონილი თმის საღებავნი: „ოდექციტერ“, „ოდალენს“ და „ოდანგლე“. მშვენიერი წამლები პირზედ დაურილისა; სხვათა შორის ერთი სახელად „უებარი“, ძალიან ხელ-მისაცემ ფასად.

ვიმედოვნებ, პატივცემული საზოგადოება ჩვენი მაღაზიის მადლიერი იქნეს.

(10—1)

# ბალანსი

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 იანვარსა 1881 წელსა.

### აქტივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . . . . | 1,074 | 19 | | |
| 2) გირაოს ფურცლები ვადამ. . . . . . | 1,500 | — | 2,574 | 19 |
| მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. . | 28,506 | 51 | | |
| ბ) ტფილისის კომმერციულ ბანკში . . | 392 | 22 | | |
| გ) ტფილისის საურთი-ერთო კრედიტის საზოგადოებაში . . . . . . . . | 793 | 39 | 29,692 | 12 |
| დ) ბანკირ მაიერს და კომ. პეტერბურღში | | | | |
| 3) კორრესპონდენტები: | | | | |
| ა) კორრესპონდენტებში; | | | | |
| ბ) — — — | | | | |
| გ) — — — | | | | |
| 4) საწევრო შესატანი ტფილისის საურთი-ერთო კრედიტის საზოგადოებაში . . . . . . . | . . . . | — | . . . . | 30 |
| 5) სასარგებლოდ შესანახავი ფული: | | | | |
| ა) — — — | | | | |
| ბ) — — — | | | | |
| 6) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შენახულნი: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში . . (101,200) . | 91,909 | 56 | | |
| ბ) ბანკის კასსაში . . . (2,000) . | 3,960 | 71 | | |
| 7) ბანკის საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები . . . (3,000) . | 2,772 | 01 | 98,642 | 28 |
| 8) გრძელ-ვადიანი სესხნი, გაცემულნი: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე 54 წ. და 6 თვით | 487,000 | | | |
| ბ) — — — 43 წ. — — | 380,90 | | | |
| გ) — — — ქალაქის უძრავს ქონებაზე 27 წლით და 6 თვით . . . | 686,300 | | | |
| ქალაქის უძრავი ქონებათა გირაოთ 18 წლით და 7 თვით . . . . . . . | 19,700 | . | 1,573,900 | |
| 9) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელნიც უნდა გაიცენ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის დარიგებით 54 წ. და 6 თვით | | | | |
| ბ) — — — 43 წ. და 6 თვით | | | | |
| გ) — — — ქალაქის უძრავი ქონებათა 27 წლით და 6 თვით ქალაქის უძრავთ ქონებებზე 18 წ. და 7 თვით | . . . . | . | 1,000 | |
| 10) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელთ მიღებაზე მსესხებელთა ვარი სთქვეს | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირავებზე. | | | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ადგილებზე. | | | | |
| 11) ვადა-გადასული სესხის გადახდა: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . . . . | . . . . | . | 16,200 | |
| ნაღდი ფულით: | | | | |
| 12) მოკლე ვადიანნი სესხნი . . . . . | . . . . | . | 107,675 | |
| 13) გირაოს ფურცლები საკომმისიოდ მიღებულნი (166,200) . . . . . . | . . . . | . | 140,835 | |
| 14) მსესხებელნი | | | | |
| ა) უპირატესობის მინიჭება (წესდება § 14 გრძელ-ვადიან. სესხ.) . . . . . . | 62,478 | 09 | | |
| ბ) — — მოკლე-ვადიან სესხისა . . | 2,163 | 75 | 64,641 | 84 |
| 15) ვადა-გასულ სესხის შემოტანა . . . . | . . . . | . | 14,823 | 90 |
| 16) უკან დაბრუნებული ხარჯი . . . . | . . . . | . | 5,300 | 18 |
| 17) ხარჯი. | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის . . . . . | . . . . | . | 2,901 | 32 |
| ბ) ბანკის გამგეობა და შენახვა | | | | |
| ბალანსი | . . . . | . | 2,058,215 | 83 |

### პასსივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირითადი თავნი ფული | | | | |
| ა) გრძელ ვადიან სესხისათვის . . . . | 171,982 | 85 | | |
| ბ) მოკლე ვადიან სესხისათვის . . . . | 111,649 | 97 | 283,632 | 82 |
| 2) სათადარიგო თანხა . . . . . . . . | . . . . | . | 12,374 | 12 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . . | . . . . | . | 1,190 | 80 |
| 4) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . . . | . . . . | . | 5,257 | 66 |
| 5) გირაოს ფურცლები დასაბეჭდავებლად გამოცემულნი: | | | | |
| 54 წლით და 6 თვით . . . . . . . | 487,000 | | | |
| 43 წლით და 6 თვით . . . . . . . | 380,900 | | | |
| 27 წლით და 6 თვით . . . . . . . | 686,300 | | | |
| 18 წლით და 7 თვით . . . . . . . | 19,700 | | 1,573,900 | |
| 6) გამოსაცემად დანიშნულნი გირაოს ფურცლები: | | | | |
| 54 წლით და 6 თვით. . . . . . | | | | |
| 43 წ. და 6 თ. . . . . . . | | | | |
| 27 წ. და 6 თ. . . . . . . | . . . . | . | 1,000 | |
| 18 წ. და 7 თ. . . . . . . | | | | |
| 7) მოსასპობლად დანიშნულნი გირაოს ფურცლები | | | | |
| 8) ვადას გადასრულთ სესხთა გადახდა: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . . . . . | 16,200 | | | |
| ბ) ნაღდი ფულით . . . . . . . . | 201 | 23 | 16,401 | 23 |
| 9) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცლები ჯერ წარუდგენელნი გადასახდელად . . . | . . . | | 20,900 | |
| 10) გადასახდელი კუპონები გირაოს ფურცლების | . . . | | 38,819 | |
| 11) სარგებლის ფონდი . . . . . . . . | . . . | | 47,217 | |
| 12) გადამხდელი ფონდი 54 წლით და 6 თვით | 597 | 50 | | |
| — 43½ . . | 1,005 | 88 | | |
| — 27½ . . | 7,312 | 93 | | |
| 18 წ. და 7 თვით | 528 | 85 | 9,445 | 16 |
| 13) გარდამავალი ჯამნი . . . . . . . . | . . . . | . | 5,139 | 71 |
| 14) სხვა და სხვა მევალენი . . . . . . | . . . . | . | 15.995 | |
| 15) კორრესპონდენტები: | | | | |
| 16) მსესხებელნი . . . . . . . . . . | . . . . | . | 963 | 88 |
| 17) დაფასების დროს და სხ. დასახარჯავი ფონდი | | | | |
| 18) მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი | | | | |
| 19) ჯარიმის ანგარიში | | | | |
| 20) სხვა და სხვა სარგებელი | | | | |
| 21) მიუცემელი დივიდენდი | | | | |
| 22) წმინდა მოგება . . . . . . . . . | . . . . | . | 25,979 | 15 |
| ბალანსი | | | 2,058,215 | 83 |

თავმჯდომარე ბანკისა თ. ი. ჭავჭავაძე.

წევრნი { თ. დ. ჰაპლიშვილი.
თ. ალ. ჩოლოყაშვილი.

ბუღალტერი ქრ. ხაჩატურიანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.